



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –  
ქალის თხევადი რექტალური სუპოზიტორების – **SCHALI® Care-FL**  
გამოყენების ინსტრუქცია  
სუნთქვის ორგანოების დაავადებები

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

NANO  
SCHALI PRODUCT  
LASER

## პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების - ქალის თხევადი რექტალური სუპოზიტორების - SCHALI® Care-FL გამოყენების ინსტრუქცია სუნთქვის ორგანოების დაავადებები

ქალის თხევად რექტალურ სუპოზიტორებს სუნთქვის ორგანოების დაავადებების ჰიგიენისა და პროფილაქტიკისთვის - SCHALI® Care-FL - აქვს ფოტოაქტიური, საერთო გამაძლიერებელი და საერთო მასტიმულირებელი მოქმედება, აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ პასუხს.

### გამოშვების ფორმა:

პროფილაქტიკური ჰიდროგელი ინდივიდუალურ ერთჯერად 3 მლ დოზატორში

### შემადგენლობა:

წყალი, ჰიდროქსიპროპილ-ციკლოდექსტრინი, გლიცერინი, პროპილენ გლიკოლი, გლიცერეტ-18-ეთილჰექსონატი, გლიცერეტ-18, აკრილატები/ C10-30 ალკილ აკრილატის კროსპოლიმერი, ტიტანის დიოქსიდი, ტრიეთანოლამინი, დიაზოლიდინილ შარდოვანა, მეთილპარაბენი, პროპილპარაბენი, ფოსფორის მჟავა.

### მოქმედების მექანიზმი:

სუპოზიტორების შემადგენლობაში შემავალი რბილი ჰიდროგელი, რომელიც თანდათანობით იხსნება სწორ ნაწლავში, შეიწოვება სწორი ნაწლავის ქვედა ნაწილების ლორწოვანის მიერ და ახდენს ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. სუპოზიტორები გავლენას ახდენს ბრონქების ლორწოვანი გარსის უჯრედების მიერ გამოყოფილი ბრონქული სეკრეტის სინთეზზე, ზემოქმედებს ანთების ალტერნატიულ და ექსუდატიურ ფაზებზე, ხელს უშლიან რა ანთებითი პროცესის გავრცელებას. ჰიდროგელის შემადგენლობაში შემავალი მინერალური წარმოშობის ბიოკომპონენტი შეიცავს არაგაჯერებულ ბმების მქონე განსაკუთრებული კლასის მეტალოიდური ნახევრადგამტარების - ტიტანის დიოქსიდის კრისტალური გისოსის ფრაგმენტებს, რომელიც მომატებული კატალიზური მოქმედების ელემენტს წარმოადგენს. QD SCHALI® კომპლექსის ტიტანის დიოქსიდის ფოტოაქტიური ნაწილაკები უზრუნველყოფს ჟანგბადის აქტიური მოლეკულების (ჟანგბადის სინგლეტური ფორმების) გამომუშავებას. პრეპარატის მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ტოქსიკური შენაერთების ზედაპირულ მონაკვეთებზე თავისუფალი ქიმიური ბმების ენერგეტიკული ნეიტრალიზაციის პრინციპს, კატალიზური რეაქციის შედეგად გამომუშავებული ჟანგბადის კომპლემენტარული ატომების დახმარებით მათი გაჯერების გზით. აქტიური ჟანგბადის ზემოქმედებით წყდება პრაქტიკულად ყველა ეგზოგენური და ენდოგენური ინტოქსიკაციები.

ტიტანის დიოქსიდის ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება პეპტიდების, გლიკოზიდებისა და მსგავსთა არაგაჯერებულ ქიმიური ბმების დეაქტივაციის უნარს, გარედან შემოსული ეგზოგენური და შიგნიდან შემოსული ენდოგენური მავნე ტოქსიკური შენაერთების მოცილების უზრუნველყოფით. ეს, თავის მხრივ, ანთებითი ხასიათის სხვადასხვა პათოლოგიების სიმპტომების აღმოფხვრის გამოხატულ ეფექტს ახდენს. ანთების, ტკივილისა და ციების ძირითადი ფერმენტის - ციკლოოქსიგენაზას აქტივობის დათრგუნვის საშუალებით, ხდება დამთრგუნველი მოქმედება ანთების მიზეზზე. სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ახდენს ანტიპროლიფერაციულ მოქმედებას, მიმართულად ზღუდავს მონოციტების მიგრაციას ანთების კერაში და აინჰიბირებს ფიბრობლასტების პროლიფერაციას.

პროდუქტი გამოიყენება როგორც ჰიგიენური მიზნებისთვის, პროფილაქტიკური მოქმედებით, ასევე მონოთერაპიის სახით, იმუნოსარეაბილიტაციო ზომების განხორციელებისას, კერძოდ, გადატანილი დაავადების შემდეგ არასრული გამოჯანმრთელებისას, ასევე სუნთქვის ორგანოების დაავადებათა ფართო სპექტრის კომპლექსური თერაპიისას, ანტიბიოტიკებსა და ანტივირუსულ საშუალებებთან ერთად.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

### ჩვენებები:

- რეციდივული ბრონქიტი
- – ხშირი გაციება
- – რინიტი
- – ფარინგიტი
- – ლარინგიტი
- – ოტიტი
- – ანგინა

### გამოყენების წესი:

გამოიყენება რექტალურად.

სუფთა ხელებით ამოიღეთ შეფუთვიდან ინდივიდუალური ერთჯერადი კონტეინერი პროდუქტით, ფრთხილად შეიყვანეთ უკანა ტანში, გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში და გამოათავისუფლეთ კონტეინერის შიგთავსი. შეიყვანეთ 1 სუბოზიტორი დღეში 2–ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

### გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

### უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში.

დანარჩენ შემთხვევებში უკუჩვენებები არაა გამოვლენილი.

### შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში მშრალ, ბნელ ადგილზე, 25°C-მდე ტემპერატურაზე.

### ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 3 წელს.

არაა რეკომენდებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**SCHALI® Care** სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.

